

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონპროექტზე "საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის რეალიზება სპეციალურ კანონმდებლობაში.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული მოსამართლეთა და მოელი სასამართლო ხელისუფლების როლის განმტკიცებას, აგრეთვე მათი დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების საკანონმდებლო აქტებში სრულყოფილად ასახვას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, უფრო ნათლად განისაზღვრება სასამართლოს როლი, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სასამართლოს საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპები.

კანონპროექტი აწესრიგებს მოსამართლესთან კომუნიკაციის წესს საქმის განხილვისა თუ სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სხვა საკითხების გადაწყვეტისას, განსაზღვრავს მოსამართლეთა, პროკურორთა, ადვოკატთა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობას კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის.

პროექტის თანახმად, კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, საქმის სასამართლოში განხილვისას, აგრეთვე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტისას, პროცესის მონაწილეს (პროკურატურის მუშაკი, ადვოკატი, სხვა პირი) ან დაინტერესებულ პირს ეკრძალება ნებისმიერი ფორმით მოსამართლესთან ისეთი ურთიერთობა ან ურთიერთობის მცდელობა, რაც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვა-გადაწყვეტასთან ან რომელიც არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და პროცესის მონაწილეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, ასევე მიზნად ისახავს მოსამართლის საქმიანობაში ჩარევას ან მასზე ზეგავლენის მოხდენას.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობას. ამასთან, პროექტი ითვალისწინებს მოსამართლის ვალდებულებებსაც, კერძოდ: მე-3 მუხლის შესაბამისად, მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მონაწილეთა ან/და პროცესის მონაწილეთა ინტერესებიდან გამომდინარე სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმით დაინტერესებული პირის მიღება ან მასთან კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ მის მიერ საქმის ან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, აგრეთვე საქმეთა განაწილება საქმეში მონაწილე რომელიმე მხარის ან საქმით დაინტერესებული რომელიმე პირის სურვილით.

პროექტი ითვალისწინებს მოსამართლესთან აკრძალულით ფორმით კომუნიკაციის შემთხვევაში, ასეთი ფაქტების განხილვის მექანიზმებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირობა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.